ევროპის საბჭო

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

დიდი პალატა

განჩინება დასაშვებობის შესახებ

განაცხადის №52207/99

ვლასტიმირ და ბორკა ბანკოვიჩები, ზივანა სტოჯანოვიჩი, მირიანა სტოიმენოვსკი, დრაგანა ჯოკსიმოვიჩი და დრაგან სუკოვიჩი ბელგიის, ჩეხეთის რესპუბლიკის, დანიის, საფრანგეთის, გერმანიის, საბერძნეთის, უნგრეთის, ისლანდიის, იტალიის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდების სამეფოს, ნორვეგიის, პოლონეთის, პორტუგალიის, ესპანეთის, თურქეთისა და გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის შემადგენლობა:

ბ-ნი ლ. ვილდაჰბერი, *პრეზიდენტი,*
ქ-ნი ე. პალმი,
ბ-ნი ც.ლ. როზაკისი,
ბ-ნი გ. რესი,
ბ-ნი ჟ.პ. კოსტა,
ბ-ნი გაუკურ იორუნდსონი,
ბ-ნი ლ. ქაფლიში,
ბ-ნი ქიურისი,
ბ-ნი ი. კაბრალბარეტო,
ბ-ნი რ. თიურმენი,
ქ-ნი ვ. სტრაჟინცკა,
ბ-ნი ც. ბირსანი,
ბ-ნი ჯ. კასადევალი,
ბ-ნი ჯ. ჰედიგანი,
ქ-ნი ვ. თომასენი,
ბ-ნი ა.ბ. ბაკა,
ბ-ნი კ. ტრაია, *მოსამართლეები,*
და ბ-ნი პ.ჯ. მეჰონეი, *რეგისტრატორი,*

მხედველობაში მიიღო რა, 1999 წლის 20 ოქტომბერს შემოსული და 1999 წლის 28 ოქტომბერს რეგისტრირებული განაცხადი,

გაითვალისწინა რა, 2000 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც პირველი სექციის პალატამ, რომელსაც უნდა განეხილა ხსენებული საქმე, გადასცა იურისდიქცია დიდ პალატას (კონვენციის 30-ე მუხლი),

გაითვალისწინა რა, მოპასუხე მთავრობებისა და მათ საპასუხოდ განმცხადებლების მიერ წარდგენილი არგუმენტები,
გაითვალისწინა რა, მხარეთა 2001 წლის 24 ოქტომბრის ზეპირი არგუმენტები და მოსამართლეთა კითხვების საპასუხოდ წარდგენილი წერილობითი კომენტარები,
იმსჯელა რა, 2001 წლის 24 ოქტომბრესა და 12 დეკემბერს,
სასამართლომ 2001 წლის 12 დეკემბერს გამოიტანა წინამდებარე განჩინება:

ფაქტები

1. ყველა განმცხადებელი არის იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკის მოქალაქე. პირველი და მეორე განმცხადებლები, ვლასტიმირ და ბორკა ბანკოვიჩები, დაიბადნენ, შესაბამისად, 1942 და 1945 წლებში. მათ სასამართლოში განაცხადი შეიტანეს თავიანთი და მათი გარდაცვლილი ქალიშვილის, ქსენია ბანკოვიჩის, სახელით. მესამე განმცხადებელი, ზივანა სტოიანოვიჩი დაიბადა 1937 წელს და მან განაცხადი შეიტანა საკუთარი და თავისი გარდაცვლილი ვაჟის, ნებოისა სტოიანოვიჩის სახელით. მეოთხე განმცხადებელმა, მირიანა სტოიმენოვსკიმ, განაცხადი შეიტანა საკუთარი და თავისი გარდაცვლილი ვაჟის, დარკო სტოიმენოვსკის, სახელით. მეხუთე განმცხადებელი, დრაგანა ჯოკსიმოვიჩი, დაიბადა 1956 წელს და განაცხადი შეიტანა საკუთარი და თავისი გარდაცვლილი ქმრის, მილან ჯოკსიმოვიჩის სახელით. მეექვსე განმცხადებელმა, დრაგან სუკოვიჩმა, განაცხადი შეიტანა თავისი სახელით.

2. განმცხადებლები სასამართლოში წარმოდგენილნი არიან ესექსში მოღვაწე ადვოკატის, ბ-ნი ენტონი ფიშერის, ადამიანის უფლებათა ბელგრადის ცენტრის დირექტორის, ბ-ნი ვოჯინ დიმიტროვიჩის, ტუფტის უნივერსიტეტში (მედფორდი, მასაჩუსეტსი, აშშ) საერთაშორისო სამართლის სპეციალისტის, ბ-ნი ჰარსტ ჰანუმის და ესექსის უნივერსიტეტში საერთაშორისო სამართლის სპეციალისტისა და ადვოკატის, ქ-ნი ფრანცოიზ ჰემფსონის მიერ. ხსენებული წარმომადგენლები დაესწრნენ სასამართლოში ზეპირ მოსმენებს თავიანთ მრჩევლებთან ერთად: ბ-ნი რიკ ლოუსონი, ქ-ნი ტატიანა პაპიჩი და ბ-ნი ვლადან ჯოკსიმოვიჩი. მესამე განმცხადებელი, ქ-ნი ზივანა სტოჟანოვიჩი, ასევე, დაესწრო სასამართლო მოსმენას.

3. მთავრობები სასამართლოში წარმოდგენილნი არიან თავიანთი აგენტების მიერ. ზეპირ მოსმენაზე წარმოდგენილნი იყვნენ მთავრობები შემდეგი პირების მიერ: გაერთიანებული სამეფო (რომელმაც წარადგინა არგუმენტები ყველა მოპასუხის სახელზე) - დედოფლის მრჩევლისა და საერთაშორისო სამართლის პროფესორის ბ-ნი ქრისტოფერ გრინვუდის, მრჩევლის, ბ-ნი ჯეიმს ეადის, საგარეო და თანამეგობრობის სამსახურში სახელმწიფო აგენტის, ბ-ნი მარტინ ეტონისა და

მრჩევლის, ბ-ნი მარტინ ჰემინგის მიერ; ბელგია - სახელმწიფო აგენტის მოადგილის, ბ-ნი იან ლატუვერსის მიერ; საფრანგეთი - მრჩევლის ბ-ნი პერ ბოსაროქის მიერ; გერმანია - ევროპის საბჭოში გერმანიის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილის, ბ-ნი კრისტოფ ბლოსენის მიერ; საბერძნეთი - მრჩევლის, ბ-ნი მაიკლ აპესოს მიერ; უნგრეთი - სახელმწიფო აგენტების: ბ-ნი ლიპოტ ჰიოლცლისა და ქ-ნი მონიკა ველერის მიერ; იტალია - სახელმწიფო აგენტის მოადგილის, ბ-ნი ფრანჩესკო კრისაფულის მიერ; ლუქსემბურგი - სახელმწიფო აგენტის, ბ-ნი ნიკოლას მაკელის მიერ; ნიდერლანდების სამეფო - სახელმწიფო აგენტის, ქ-ნი ჯოლიენ შუქინგის მიერ; ნორვეგია - სახელმწიფო აგენტის, ბ-ნი ფროდე ელგესემის მიერ; პოლონეთი - სახელმწიფო აგენტის, ბ-ნი კრუსჟტოფ დრჟევიცისა და მრჩევლის, ქ-ნი რენატა კოვალსკას მიერ; თურქეთი - სახელმწიფო აგენტის, ქ-ნი დენიზ აკჩაის მიერ.

საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები

4. მხარეების მიერ წარმოდგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად.

5. მოპასუხე მთავრობებმა განაცხადი დაუშვებლად მიიჩნიეს და საჭიროდ არ ჩათვალეს საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების განხილვა. მათი მტკიცებით, ის ფაქტი, რომ ისინი გარკვეულ გარემოებასთან დაკავშირებით აშკარად არ დავობდნენ, არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული მათ წინააღმდეგ. სასამართლოს, საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების შეჯამებისას, ხსენებული შედავების არ არსებობის ფაქტი არ მიუჩნევია მეორე მხარის მიერ მის აღიარებად.

1. *ისტორია*

6. კოსოვოში სერბებსა და კოსოვოელი ალბანელთა ძალებს შორის 1998 და 1999 წლებში მიმდინარე კონფლიქტი დოკუმენტურად კარგად არის ასახული. კონფლიქტის გამძაფრების, მზარდი შეშფოთებისა და საერთაშორისო საზოგადოების მიერ წარმოდგენილი დიპლომატიური ინიციატივების წარუმატებლობის საპასუხოდ, 6 ერისაგან შემდგარი საკონტაქტო ჯგუფი (რომელიც ლონდონის კონფერენციაზე დაარსდა 1992 წელს) შეიკრიბა და შეთანხმდა კონფლიქტის მხარეებს შორის მოლაპარაკებების დაწყებაზე.

7. 1990 წლის 30 იანვარს, ჩრდილოეთ ატლანტიკის საბჭოს (NAC) გადაწყვეტილების შესაბამისად, ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციამ (NATO) განაცხადა იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საჰაერო შეტევების დაწყების შესახებ, საერთაშორისო საზოგადოების მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში. შედეგად, მოლაპარაკებები

კონფლიქტის მხარეებს შორის მიმდინარეობდა 1999 წლის 6-23 თებერვალს რამბუიეში, ხოლო 1999 წლის 15-18 მარტის განმავლობაში - პარიზში. მოლაპარაკებების შედეგად წარმოდგენილ სამშვიდობო შეთანხმებას ხელი მოაწერა კოსოვოელი ალბანელების დელეგაციამ, მაგრამ არა სერბების დელეგაციამ.

8. იმის გათვალისწინებით, რომ ყველა მცდელობა კოსოვოს კრიზისის მოლაპარაკებების გზით მიღწეული პოლიტიკური გადაწყვეტისა უშედეგოდ დასრულდა, NAC-მა მიიღო გადაწყვეტილება და 1999 წლის 23 მარტს NATO-ს გენერალურმა მდივანმა განაცხადა იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკის წინააღმდეგ საჰაერო შეტევების (ოპერაცია მოკავშირე ძალები) დაწყების შესახებ. საჰაერო შეტევები მიმდინარეობდა 1999 წლის 24 მარტიდან 8 ივნისამდე.

2. რადიო ტელევიზია სრბიჯეს დაბომბვა (RTS)

9. RTS-ის საშუალებით სამი სატელევიზიო არხი და 4 რადიო სადგური ფუნქციონირებდა ბელგრადში. მთავარი მოწყობილობები მობილიზებული იყო ტაკოვსკას ქუჩაზე არსებულ სამ შენობაში. მთავარი მაკონტროლებელი ოთახი მდებარეობდა ერთ-ერთი შენობის პირველ სართულზე, სადაც, ძირითადად, მუშაობდა ტექნიკური პერსონალი.

10. 1999 წლის 23 აპრილს, დაახლოებით 02.00 საათის შემდეგ, ტაკოვსკას ქუჩაზე მდებარე RTS-ის ერთ-ერთი შენობის წინააღმდეგ მოხდა რაკეტის გასროლა NATO-ს შეიარაღებული ძალების საჰაერო ხომალდის მიერ. 4-სართულიანი შენობის 2 სართული ჩამოინგრა და მაკონტორლებელი ოთახიც განადგურდა.

11. პირველი და მეორე განმცხადებლების ქალიშვილი, მესამე და მეოთხე განმცხადებლების ვაჟიშვილები და მეხუთე განმცხადებლის ქმარი დაიღუპნენ, ხოლო მეექვსე განმცხადებელი დაიჭრა. RTS-ის დაბომბვის შედეგად, დაიღუპა 16 ადამიანი და მძიმედ დაიჭრა 16. ხსენებულ ღამეს, იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 24 სამიზნის წინააღმდეგ განხორციელდა შეტევა, მათ შორის, 3 - ბელგრადში.

3. სხვა საერთაშორისო ტრიბუნალების წინაშე განხორციელებული მნიშვნელოვანი სასამართლო წარმოება

12. 1999 წლის 26 აპრილს, იუგოსლავიის ფედერალურმა რესპუბლიკამ გაერთიანებული ერების (გაერო) გენერალურ მდივანს გადასცა დეკლარაცია საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლოს (ICJ) სავალდებულო იურისდიქციის ცნობის შესახებ. 1999 წლის 29 აპრილს, იუგოსლავიის ფედერალურმა რესპუბლიკამ წამოიწყო საქმის წარმოება ბელგიისა და 9 სხვა სახელმწიფოს

წინააღმდეგ, ოპერაცია - მოკავშირე ძალებში მათ მონაწილეობასთან დაკავშირებით და ICJ-ს რეგლამენტის 73-ე მუხლის თანახმად, წარადგინა დროებითი ღონისძიების განსაზღვრის მოთხოვნა. 1999 წლის 2 ივნისის განკარგულებით, ICJ-მ უარი განაცხადა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. საქმის სხვა საკითხები ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია.

13. 2000 წლის ივნისში, ოპერაცია - მოკავშირე ძალების გადახედვის მიზნით შექმნილმა კომიტეტმა გაუგზავნა შეტყობინება ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის პროკურორს. თუმცა არ გაიცა გამოძიების დაწყების რეკომენდაცია. 2000 წლის 2 ივნისს, პროკურორმა შეატყობინა გაეროს უშიშროების საბჭოს საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ, გამოძიების არდაწყებისთან დაკავშირებით.

საერთაშორისო სამართლის მნიშვნელოვანი დოკუმენტები

1. *ვაშინგტონის 1949 წლის ხელშეკრულება*

14. ვაშინგტონის ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1949 წლის 24 აგვისტოს (1949 წლის ხელშეკრულება), რის საფუძველზეც ევროპის 10 სახელმწიფოსა (ბელგია, საფრანგეთი, ლუქსემბურგი, ნიდერლანდების სამეფო, გაერთიანებული სამეფო, დანია, ისლანდია, იტალია, ნორვეგია, პორტუგალია) და კანადასა და აშშ-ს მონაწილეობით შეიქმნა ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია (NATO). 1952 წელს, საბერძნეთი და თურქეთი მიუერთდნენ 1949 წლის ხელშეკრულებას, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა შეუერთდა 1955 წელს, ხოლო ესპანეთი - 1982 წელს. 1999 წლის 12 მარტს, ხსენებულ სახელმწიფოებს შეუერდნენ ჩეხეთის რესპუბლიკა, უნგრეთი და პოლონეთი.

15. NATO-ს ძირითადი მიზანი არის გაეროს წესდების პრინციპების შესაბამისად ყველა წევრი სახელმწიფოს თავისუფლებისა და უსაფრთხოების დაცვა პოლიტიკური და სამხედრო საშუალებებით. მისი მთავარი მამოძრავებელი პრინციპი არის სუვერენულ სახელმწიფოების მიერ თანამშრომლობაში წვლილის შეტანა, რომელიც დაფუძნებულია წევრთა უსაფრთხოების ერთიანობაზე.

2. *ვენის 1969 წლის კონვენცია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ (ვენის 1969 წლის კონვენცია)*

16. ვენის 1969 წლის კონვენციის 31-ე მუხლი დასათაურებულია შემდეგნაირად: „განმარტების საერთო წესი“, რომელშიც წერია:

> „1. ხელშეკრულება უნდა განიმარტოს კეთილსინდისიერად, ხელშეკრულებაში არსებულ ტერმინთათვის კონტექსტის გათვალისწინებით მინიჭებული ჩვეულებრივი მნიშვნელობისა და ხელშეკრულების ობიექტისა და მიზნის შესაბამისად.

....

3. კონტექსტთან ერთად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული:

...

ბ) ხელშეკრულების გამოყენების ნებისმიერი შემდგომი პრაქტიკა, რომელიც აყალიბებს მონაწილეთა შეთანხმებას მისი განმარტების შესახებ;

გ) საერთაშორისო სამართლის ნებისმიერი შესაბამისი ნორმა, რომელიც გამოიყენება მონაწილეთა შორის ურთიერთობებში."

17. 32-ე მუხლი დასათაურებულია როგორც „განმარტების დამატებითი საშუალებები" და ადგენს:

„შესაძლებელია გამოყენებული იქნეს განმარტების დამატებითი საშუალებები, მათ შორის, ხელშეკრულების მოსამზადებელი სამუშაოები და მისი მიღების დროს არსებული გარემოებები იმ მიზნით, რომ დადასტურდეს ის მნიშვნელობა, რაც დადგინდა 31-ე მუხლის გამოყენების შედეგად ან განისაზღვროს მნიშვნელობა, როცა 31-ე მუხლის შესაბამისად განმარტება:

ა) ორაზროვანს და გაურკვეველს ტოვებს მის მნიშვნელობას;

ბ) ან იწვევს აშკარად აბსურდულ ან არაგონივრულ შედეგს."

18. ხსენებული მუხლების კომენტარებში, საერთაშორისო სამართლის კომისიამ აღნიშნა, რომ 31-ე და 32-ე მუხლები უნდა მოქმედებდნენ ერთად და არ უნდა არსებობდეს მკაცრი გამყოფი ხაზი განმარტების „საერთო წესსა" და „დამატებით საშუალებებს" შორის. ამავე დროს, განსხვავება გამართლებული იყო იმდენად, რამდენადაც 31-ე მუხლში არსებული განმარტების ელემენტები ეხება მხარეთა შორის არსებულ შეთანხმებას მაშინ ან მას შემდეგ, რაც მან მიიღო ტექსტში ავთენტიკური ასახვა. მოსამზადებელ სამუშაოს არ ჰქონდა იგივე ავთენტური ხასიათი, მიუხედავად ხშირ შემთხვევაში მისი განსაკუთრებული მნიშვნელობისა ტექსტში არსებული შეთანხმებისათვის ნათელის მოსაფენად.

3.კონვენციის 1-ლი მუხლი შექმნის ისტორია

19. ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ასამბლეის სამართლებრივ და ადმინისტრაციულ საკითხებზე არსებული კომიტეტის მიერ მომზადებული ტექსტის მიხედვით, რომელიც შემდგომ კონვენციის 1-ლი მუხლი გახდა, „მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თავიანთ ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა პირისათვის უზრუნველყოფენ უფლებებს...". ექსპერტთა სამთავრობოთაშორისმა კომიტეტმა, რომელმაც განიხილა საკონსულტაციო ასამბლეის პროექტი, გადაწყვიტა „თავიანთ ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა პირი" ჩაენაცვლებინა შემდეგი ფრაზით - „თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში". მიზეზების ამოკითხვა შეიძლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოსამზადებელი სამუშაოების ერთიანი გამოცემიდან (III გამოცემა, გვ. 260):

„ასამბლეის პროექტმა კონვენციით გათვალისწინებული სარგებელი გაავრცელა „ყველა პირზე, რომელიც ცხოვრობს ხელმომწერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე“. კომიტეტი მიიჩნევდა, რომ ტერმინი „ცხოვრობს“ ზედმეტად შემზღუდველად იქნებოდა აღქმული. ასევე, მიიჩნეოდა, რომ არსებობდა საკმარისი საფუძველი კონვენციით გათვალისიწნებული სარგებლის ხელმომწერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფ ყველა პირზე გასავრცელებლად მიუხედავად იმისა, რომ ის შეიძლება არ აკმაყოფილებდეს „ცხოვრების“ კრიტერიუმს, ხსენებული ტერმინის სამართლებრივი მნიშვნელობით. შესაბამისად, კომიტეტმა ტერმინი „ცხოვრობს“ შეცვალა ფრაზით - „თავიანთი იურისდიქციის ქვეშ“, რომელიც, ასევე, მოცემულია გაერთიანებული ერების კომისიის პაქტის პროექტში.“

20. კონვენციის 1-ლი მუხლის შესახებ შემდეგი მნიშვნელოვანი კომენტარი ეკუთვნის ბელგიის წარმომადგენელს, რომელიც გაკეთდა 1950 წლის 25 აგვისტოს საკონსულტაციო ასამბლეის პლენარულ სხდომაზე:

„კონვენციის მუხლის შესაბამისად, ამიერიდან, ჩვენი სახელმწიფოების მხრიდან დაცვის უფლება გავრცელდება მთელი ძალით და ნებისმიერ სახის განსხვავებისა და დიფერენციაციის გარეშე ნებისმიერ პირზე მოქალაქეობის მიუხედავად, რომელსაც საფუძველი აქვს ამტკიცოს, რომ რომელიმე ჩვენგანის ტერიტორიაზე მისი უფლებები დაირღვა“.

21. მოსამზადებელ სამუშაოებში მითითებულია, რომ 1-ლი მუხლის ფორმულირება, რომელიც მოიცავს ფრაზას - „თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში“ - არ წამორმოშობს დამატებით აზრთა სხვადასხვაობას და ტექსტის მაშინდელი ფორმულირება (რომელიც ახლაც ძალაშია) იქნა მიღებული საკონსულტაციო ასამბლეის მიერ 1950 წლის 25 აგვისტოს დამატებითი ცვლილების გარეშე (ზემოთ მითითებული ერთიანი გამოცემა (VI გამოცემა, გვ. 132).

4. *ადამიანის უფლებათა და მოვალეობათა 1948 წლის ამერიკული დეკლარაცია*

22. ხსენებული დეკლარაციის მე-2 მუხლი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

„ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და გააჩნია ხსენებული დეკლარაციით განმტკიცებული უფლებები და მოვალეობები განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა, აღმსარებლობისა და ნებისმიერ სხვა ნიშნისა.“

23. ადამიანის უფლებათა ინტერამერიკულმა კომისიამ საკუთარ მოხსენებაში *ქოარდის* საქმეზე (მოხსენება № 109/99, საქმე № 10.951, ქოარდი აშშ-ს წინააღმდეგ, 1999 წლის 29 სექტემბერი, §§ 37, 39, 41 და 43), განიხილა გრენადაში სამხედრო ოპერაციის პირველ დღეებში აშშ-ს ძალების მიერ განმცხადებლის დაკავებისა და მის მიმართ მოპყრობის შესახებ საჩივარი და განაცხადა:

„მიუხედავად იმისა, რომ ამერიკული დეკლარაციის ექტრატერიტორიული გამოყენების საკითხი არ დაუყენებიათ მხარეებს, კომისიამ საჭიროდ მიიჩნია, აღენიშნა, რომ ცალკეულ შემთხვევებში, იურისდიქციის ექსტრატერიტორიული გამოყენება არა მარტო შესაბამისობაში მოვა შესაბამის დებულებასთან, არამედ სავალდებულოა კიდეც. ამერიკის სახელმწიფოებში ინდივიდის ძირითადი უფლებები განმტკიცებულია თანასწორობისა და დისკრიმანციის აკრძალვის პრინციპების საფუძველზე - „განურჩევლად რასისა, მოქალაქეობისა, აღმსარებლობისა

ან სქესისა“. ... ამერიკის თითოეული შტატი ვალდებულია, განამტკიცოს ნებისმიერი ადამიანის დაცული უფლებები, რომელიც ადამიანს მიეკუთვნება ადამიანად ყოფნიდან გამომდინარე და რომელზეც ვრცელდება იურისდიქცია. მაშინ, როცა ხსენებული დებულება, როგორც წესი, ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც სახელმწიფოს ტერიტორიაზე იმყოფებიან, იგი, ცალკეულ შემთხვევებში, შეიძლება გავრცელდეს სახელმწიფოს გარეთ არსებულ ადგილმდებარეობაზე (*extraterritorial locus*), როცა დაინტერესებული პირი იმყოფება ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, თუმცა სხვა სახელმწიფოს კონტროლს ექვემდებარება. ხსენებული, ჩვეულებრივ, ეხება ამ უკანაკსნელი სახელმწიფოს აგენტებს. ძირითადად, გამოძიებისათვის განმსაზღვრელია არა სავარაუდო მსხვერპლის მოქალაქეობა ან ადგილსამყოფელი სახელმწიფოს გეოგრაფიული სივრცე, არამედ, ცალკეულ გარემოებებში, სახელმწიფომ პირის უფლებები მიიჩნია თუ არა საკუთარი ხელისუფლებისა და კონტროლის ქვეშ მყოფად.“

24. ადამიანის უფლებათა 1978 წლის ამერიკული კონვენციის 1-ლი მუხლი, რომელიც ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლოს იურისდიქციის სამართლებრივ საფუძველს ქმნის, ადგენს, რომ:

„კონვენციის წევრი სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, პატივი სცენ კონვენციით აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს და უზრუნველყონ თავიანთი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ყველა პირისთვის ხსენებული უფლებებისა და თავისუფლებების თავისუფალი და სრული განხორციელება, დისკრიმინაციის გარეშე...“

5. ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ ჟენევის 1949 წლის ოთხი კონვენცია

25. ხსენებული კონვენციების (ჟენევის 1949 წლის კონვენციები) 1-ლი მუხლი ხელშემკვრელი სახელმწიფოებისაგან მოითხოვს, „პატივი სცენ და უზრუნველყონ მოცემული კონვენციის დაცვა ყველა სიტუაციაში“.

6. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ 1966 წლის პაქტი (CCPR 1966) და მისი დამატებითი ოქმი

26. CCPR 1996-ის მე-2 მუხლის § 1 იმდენად, რამდენადაც იგი მნიშვნელოვანია მოცემული საქმისთვის, ადგენს:

„მოცემული კონვენციის ყველა წევრი სახელმწიფო პატივს სცემს და უზრუნველყოფს მის ტერიტორიაზე და მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ყველა პირისათვის მოცემული კონვენციით გარანტირებულ უფლებებს...“

ადამიანის უფლებათა კომისიამ 1950 წელს მეექვსე სესიაზე დააკმაყოფილა შუამდგომლობა პაქტის პროექტის მე-2 მუხლის § 1-ში შემდეგი სიტყვების განმტკიცების შესახებ - „მის ტერიტორიაზე და მისი იურისდიქციის ქვეშ“. შემდგომში, კერძოდ, 1952 და 1963 წლებში წარმოდგენილი წინადადებები ხსენებული სიტყვების ამოღების შესახებ არ იქნა გაზიარებული. შედეგად, ადამიანის უფლებათა კომიტეტმა გარკვეულ შეზღუდულ კონტექსტში განავითარა

ხელშემკვრელი სახელმწიფოების პასუხისმგებლობა საზღვარგარეთ თავიანთი აგენტების ქმედებებზე.

27. 1966 წლის დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი იმდენად, რამდენადაც იგი მნიშვნელოვანია მოცემული საქმისთვის, ადგენს:

> „პაქტის წევრი სახელმწიფო, რომელიც გახდება მოცემული ოქმის მხარე, ცნობს კომიტეტის უფლებამოსილებას, მიიღოს და განიხილოს კომუნიკაციები ინდივიდების მხრიდან, რომელიც ხსენებული სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ ექცევა და რომელიც ამტკიცებს სახელმწიფოს მხრიდან პაქტით გარანტირებული რომელიმე მუხლის დარღვევას. ...“

მოთხოვნები

28. განმცხადებლების პრეტენზია ეხება 1999 წლის 23 აპრილს NATO-ს ძალების მიერ RTS შენობის დაბომბვის ფაქტს. ისინი ეყრდნობიან კონვენციის შემდეგ მუხლებს: მუხლი 2 (სიცოცხლის უფლება), მუხლი 10 (გამოხატვის თავისუფლება) და მუხლი 13 (ქმედითი სამართლებრივი მისაგებლის უფლება).

სამართალი

29. 1-ლი-მე-5 განმცხადებლები ეყრდნობიან მე-2, მე-10 და მე-13 მუხლებს თავიანთი და მათი გარდაცვლილი ახლო ნათესავების სახელით. თავდასხმის დროს დაშავებული მეექვსე განმცხადებელი ეყრდნობა ხსენებულ მუხლებს თავისი სახელით. სასამართლოს თანხმობით, მხარეთა წერილობითი და ზეპირი მოხსენებები შეეხებოდა მხოლოდ დასაშვებობის საკითხს. მთავრობები, ასევე, დათანხმდნენ, რომ ისინი არ იდავებდნენ მოთხოვნების დაუსაბუთებლობის შესახებ.

30. რაც შეეხება საქმის დასაშვებობას, განმცხადებლები ამტკიცებენ, რომ განაცხადი შესაბამისობაშია *ratione loci* კონვენციის დებულებებთან, რადგან მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხე სახელმწიფოების გასაჩივრებულ ქმედებებს არ ჰქონდა ადგილი არც იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის და არც ხსენებული სახელმწიფოების ტერიტორიაზე; შედეგი დადგა იუგოსლავიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, რამაც განმცხადებელი პირები და მათი გარდაცვლილი ნათესავები მოაქცია ხსენებული სახელმწიფოების იურისდიქციის ქვეშ. ისინი, ასევე, ამტკიცებენ, რომ მოპასუხე სახელმწიფოები პასუხისმგებელნი არიან განხორციელებულ თავდასხმაზე მიუხედავად იმისა, რომ NATO-ს ძალებმა განახორციელეს იგი. განმცხადებლებს, აგრეთვე, არ ჰქონდათ სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებების ამოწურვის საშუალება.

31. მთავრობები დავობენ საქმის დასაშვებობის საკითხზე. მთავარი არგუმენტი არის ის, რომ განაცხადი შეუსაბამოა *ratione personae* კონვენციის დებულებებთან, ვინაიდან კონვენციის 1-ლი მუხლის გაგებით, განმცხადებლები არ ექცევიან

მოპასუხე სახელმწიფოების იურისდიქციის ქვეშ. მათი მტკიცებით, საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლოს *ფულადი ოქროს (Monetary Gold)* პრინციპიდან გამომდინარე, მოცემულ სასამართლოს არ შეუძლია გადაწყვიტოს საქმის გარემოებები, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი განსაზღვრავს აშშ-ს, კანადისა და NATO-ს უფლებებსა და ვალდებულებებს, რომლებიც არ არიან კონვენციის ხელშემკვრელი მხარეები და შესაბამისად, განსახილველი განაცხადის მხარეები (*Monetary Gold Removed from Rome, 1943 წელი*, ICJ მოხსენებები 1954 წელი, გვ. 19, *აღმოსავლეთ ტიმორი*, ICJ მოხსენებები, 1995 წელი, გვ. 90).

32. საფრანგეთის მთავრობა, ასევე, იმასაც ამტკიცებს, რომ დაბომბვის ფაქტი შეერაცხება არა მოპასუხე სახელმწიფოებს, არამედ NATO-ს - ორგანიზაციას, რომელიც საერთაშორისო სამართლის სუბიექტია მოპასუხე სახელმწიფოებისაგან დამოუკიდებლად. თურქეთის მთავრობამ წარმოადგინა საკუთარი შეხედულებები ჩრდილოეთ კვიპროსში არსებული მდგომარეობის შესახებ.

33. ბოლოს, უნგრეთის, იტალიისა და პოლონეთის მთავრობებმა მიუთითეს, რომ განმცხადებლებმა არ ამოწურეს სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებები, რომელიც ხელმისაწვდომი იყო მათ ქვეყნებში და რომელსაც ითვალისწინებს კონვენციის 35-ე მუხლის § 1.

A. განმცხადებლები და მათი გარდაცვლილი ნათესავები მოექცნენ თუ არა მოპასუხე სახელმწიფოების იურისდიქციის ქვეშ კონვენციის 1-ლი მუხლის გაგებით

34. ეს არის მთავარი საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც მთავრობები სადავოს ხდიან განაცხადის დასაშვებობას, ამიტომაც სასამართლო პირველად სწორედ ამ საკითხს განიხილავს. კონვენციის 1-ლი მუხლი განამტკიცებს:

> „მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ყველასათვის თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში უზრუნველყოფენ ამ კონვენციის I კარში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს.“

1. *მოპასუხე მთავრობების არგუმენტები*

35. მთავრობები ამტკიცებენ, რომ განსახილველ დროს, განმცხადებლები და მათი გარდაცვლილი ნათესავები არ იმყოფებოდნენ მოპასუხე სახელმწიფოების „იურისდიქციის“ ქვეშ. შესაბამისად, განაცხადი შეუსაბამოა *ratione personae* კონვენციის დებულებებთან.

36. „იურისდიქციის“ ზუსტ მნიშვნელობასთან დაკავშირებით, ისინი აცხადებენ, რომ იგი უნდა განიმარტოს ჩვეულებრივი და საერთაშორისო სამართალში კარგად დამკვიდრებული მნიშვნელობით. შესაბამისად, „იურისდიქციის“ განხორციელება მოიცავს ლეგიტიმური ხელისუფლების მტკიცებას ან სამართლებრივი უფლებამოსილების რეალურად ან აზრობრივად განხორციელებას, იმ პირებზე, რომელთაც აქვთ გარკვეული ტიპის დამოკიდებულება ხსენებულ სახელმწიფოსთან ან რომელიც მოექცა ამ უკანასკნელის კონტროლის ქვეშ. მათ, ასევე, განაცხადეს, რომ ტერმინი „იურისდიქცია“, როგორც წესი, გულისხმობს გარკვეული ტიპის

მოწესრიგებულ ურთიერთობას, რომელიც არსებობს გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

37. ისინი ამტკიცებენ, რომ მათ სასარგებლოდ მეტყველებს სასამართლოს პრაქტიკა. სასამართლომ გამოიყენა იურისდიქციის ხსენებული გაგება იმის დასამტკიცებლად, რომ ინდივიდი, რომელზეც გავლენა მოახდინა სახელმწიფოს მიერ მისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ განხორციელებულმა ქმედებამ, შეიძლება ჩაითვალოს ხსენებული სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ მოქცევად, ვინაიდან ადგილი ჰქონდა შესაბამისი სახელმწიფოს მხრიდან ინდივიდზე გარკვეული ტიპის ლეგიტიმური ხელისუფლების განხორციელების ფაქტს. მოპასუხე სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ განმცხადებლების დაკავება და დაპატიმრება *ისსასა* და *ოჯალანის* საქმეებში *(ისსა და სხვები თურქეთის წინააღმდეგ,* № 31821/96, 2000 წლის 30 მაისი; *ოჯალანი თურქეთის წინააღმდეგ,* № 46221/99, 2000 წლის 14 დეკემბერი), მთავრობების მტკიცებით, წარმოადგენს უცხო მიწაზე სამხედრო ძალების მხრიდან პირებზე ასეთი ლეგიტიმური ხელისუფლების ან იურისდიქციის განხორციელების კლასიკურ მაგალითს. *ქსავარას (Xhavara)* საქმეში იურისდიქცია იქნა გაზიარებული წერილობითი შეთანხმებით მოპასუხე სახელმწიფოებს შორის. საქმე შეეხებოდა იტალიის სანაპირო ხაზიდან 35 საზღვაო მილის მოშორებით იტალიური სამხედრო საზღვაო ხომალდის მიერ სავარაუდო განზრახ თავდასხმას ალბანეთის გემის წინააღმდეგ (*ქსავარა და სხვები იტალიისა და ალბანეთის წინააღმდეგ,* № 39473/98, 2001 წლის 11 იანვარი). მთავრობები მიიჩნევენ, რომ იურისდიქციის მათ მიერ შემოთავაზებულ განმარტებას მხარს უჭერს მოსამზადებელი სამუშაოები და რატიფიკაციის შემდეგ სახელმწიფოთა მიერ კონვენციის გამოყენების პრაქტიკა. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, ისინი მიუთითებენ კონვენციის მე-15 მუხლით გათვალისწინებული გადახვევის პრაქტიკის ნაკლებობას სამხედრო ოპერაციების დროს, რომელშიც ხელშემკვრელი სახელმწიფოები მონაწილეობენ საკუთარი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.

38. მთავრობების დასკვნის თანახმად, ნათელია, რომ განმცხადებლების მიერ გასაჩივრებული ქმედება არ შეიძლება მიჩნეული იქნეს ასეთი ლეგიტიმური ხელისუფლების ან უფლებამოსილების განხორციელებად.

39. უფრო მეტიც, მთავრობები დავობენ განმცხადებლების მთავარი არგუმენტზე, რომელიც კონვენციის 1-ლი მუხლში განმტკიცებული იურისდიქციის მნიშვნელობას ეხება. კერძოდ, მის თანახმად, კონვენციის 1-ლ მუხლში განმტკიცებული დაცვის პოზიტიური ვალდებულება პროპორციულად მიემართება განხორციელებულ კონტროლს.

40. პირველ რიგში, მთავრობები მიიჩნევენ, რომ 1-ლი მუხლის ტექსტიდან ამგვარი განმარტება არ გამომდინარეობს. პროექტის ავტორების სურვილი რომ ყოფილიყო „მიზეზშედეგობრივი“ სახის პასუხისმგებლობის განმტკიცება, ისინი ამგვარ ფორმულირებას ასახავდნენ ჟენევის 1949 წლის კონვენციების 1-ლ მუხლში. ნებისმიერ შემთხვევაში, განმცხადებლების მიერ შემოთავაზებული იურისდიქციის განმარტება მოახდენდა ხელშემკვრელ სახელმწიფოებზე დაკისრებული პოზიტიური

ვალდებულების ინვენტირებასა და დაყოფას, დაეცვათ უფლებები იმგვარად, რომელიც არ არის გათვალისწინებული კონვენციის 1-ლი მუხლით.

41. მეორე რიგში, ისინი მიიჩნევენ, რომ განმცხადებლების მხრიდან 1-ლი მუხლის ფართო განმარტების მიზნით მე-15 მუხლზე დაყრდნობა, მცდარია და ხსენებული მე-15 მუხლი განამტკიცებს სწორედ მთავრობათა პოზიციას. მთავრობები ამტკიცებენ, რომ კონვენციის მე-15 მუხლის ტექსტსა თუ მის გამოყენებაში არაფერია ისეთი, რომელიც იგულისხმებდა, რომ მე-15 მუხლის § 2 მიემართება „ომის“ სიტუაციას ან „საგანგებო მდგომარეობას“ ხელშემკვრელი სახელმწიფოს როგორც ტერიტორიის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, როგორც ამას განმცხადებლები არასწორად ამტკიცებენ. აქედან გამომდინარე, მე-15 მუხლის § 2 არ უჭერს მხარს კონვენციის 1-ლი მუხლის განმცხადებლების მიერ შემოთავაზებულ ფართო განმარტებას.

42. მესამე რიგში, განმცხადებლების იმ მტკიცებასთან დაკავშირებით, რომ იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკის მოქალაქეები დარჩებოდნენ კონვენციით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის საშუალების გარეშე, მთავრობები მიუთითებენ ჩრდილოეთ კვიპროსის შემთხვევაზე. კერძოდ, თუ დადგინდებოდა, რომ თურქეთს კონვენციის თანახმად არ ეკისრებოდა პასუხისმგებლობა ჩრდილოეთ კვიპროსის საქმეში, ადგილობრივ მაცხოვრებლებს წაერთმეოდათ კონვენციით გარანტირებული უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა (იხილე, ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ, 1995 წლის 23 მარტი, (*წინასწარი შენიშვნები),* სერია A, № 310, ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ, 1996 წლის 18 დეკემბერი *(გარემოებები), გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიში,* 1996-VI, № 26 და კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა], № 25781/94, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2001). მოცემულ საქმეში, მთავრობები აღნიშნავენ, რომ იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა არ იყო და არ არის კონვენციის მხარე და მის მაცხოვრებლებს არ გააჩნით კონვენციური უფლებები.

43. მეოთხე რიგში, მთავრობები დაბეჯითებით ეწინააღმდეგებიან განმცხადებლების არგუმენტებს იმ რისკებთან დაკავშირებით, რომელიც მოპასუხე სახელმწიფოებისათვის სამხედრო მისიებში მონაწილეობის გამო კონვენციის შესაბამისად პასუხისმგებლობის არდაკისრებას ახლავს. მთავრობები ამტკიცებენ, რომ ეს უფრო ექსტრატერიტორიული იურისდიქციის განმცხადებლების ახალი, „მიზეზშედეგობრივი“ თეორიაა, რომელსაც სერიოზული საერთაშორისო შედეგები ექნებოდა. ასეთი თეორია განმცხადებლების მტკიცებასთან ერთად, რომელიც მოპასუხე სახელმწიფოების, როგორც NATO-ს წევრების პასუხისმგებლობას ეხება, მნიშვნელოვნად დააზიანებდა კონვენციის ობიექტსა და მიზანს. უფრო კონკრეტულად, იგი მძიმე შედეგების მომტანი იქნებოდა ერთობლივი საერთაშორისო სამხედრო მოქმედებებისთვის, ვინაიდან სასამართლოს მისცემდა უფლებამოსილებას, გადაეხედა ხელშემკვრელი სახელმწიფოების მონაწილეობასათვის სამხედრო მისიებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით იმ გარემოებებში, როცა ხსენებული სახელმწიფოებისათვის შეუძლებელი იქნებოდა ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის კონვენციით გარანტირებული უფლებებით სარგებლობის უზრუნველყოფა; ასევე, იმ შემთხვევაში, როცა ხელშემკვრელი

სახელმწიფო არ იღებდა აქტიურ მონაწილეობას შესაბამის მისიაში. მთავრობების შეხედულებით, შედეგად, კონვენციის ზეგავლენა მნიშვნელოვნად დააზარალებდა ასეთ მისიებში სახელმწიფოთა მონაწილეობას და ნებისმიერ შემთხვევაში, მოგვცემდა კონვენციის მე-15 მუხლით გათვალისწინებულ უფრო მეტ გადახვევას. დამატებით, ისინი ამტკიცებენ, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, ICTY და ბოლო პერიოდში, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო (ICC) აღარ არეგულირებენ სახელმწიფოთა ამგვარ ქმედებას.

44. და ბოლოს, მთავრობები, ასევე, სადავოს ხდიან კონვენციის 1-ლი მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ალტერნატიულ თეორიებს. განმცხადებლების არგუმენტთან დაკავშირებით, რომელიც NATO-ს ძალების მიერ ბელგრადის საჰაერო სივრცის სავარაუდო კონტროლს ეხება, მთავრობები უარყოფენ ასეთი კონტროლის არსებობას. ასევე, ნებისმიერ შემთხვევაში, უარყოფენ დავას იმასთან დაკავშირებით, რომ ასეთი სახის კონტროლი შეიძლება გაუტოლდეს იმ მასშტაბისა და ხასიათის ტერიტორიულ კონტროლს, რომელიც ჩრდილოეთ კვიპროსის საქმეში დადგინდა და რომელიც გვაძლევს ეფექტურ კონტროლს ან ლეგიტიმურ ხელისუფლებას. მთავრობებმა, დამატებით, აღნიშნეს, რომ განმცხადებლების მიერ მოცემული სიტუაციის ზოერინგის საქმესთან შედარება არის მცდარი საფუძველშივე (ზოერინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1989 წლის 17 ივლისი, სერია A, № 161). ხსენებული სადავო საქმის განხილვისას, ბ-ნ ზოერინგი დაკავებული იყო მოპასუხე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ანუ არსებობდა ინდივიდზე ძალაუფლების განხორციელების კლასიკური სიტუაცია, რომლის დროსაც სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს კონვენციით გარანტირებული უფლებების დაცვა.

45. საბოლოო ჯამში, მთავრობები ამტკიცებენ, რომ განმცხადებლები და მათი გარდაცვლილი ნათესავები არ ექვემდებარებიან მოპასუხე სახელმწიფოების იურისდიქციას და რომ მათი განაცხადი შეუსაბამოა *ratione personae* კონვენციის დებულებებთან.

2. განმცხადებლების არგუმენტები

46. განმცხადებლები მიიჩნევენ, რომ განაცხადი *ratione loci* შესაბამისობაში მოდის კონვენციის დებულებებთან, ვინაიდან RTS-ზე განხორციელებული შეტევით ისინი დაექვემდებარნენ მოპასუხე სახელმწიფოების იურისდიქციას. უფრო კონკრეტულად, ისინი მიუთითებენ, რომ „იურისდიქციის“ განსაზღვრა უნდა მოხდეს „ეფექტური კონტროლის“ კრიტერიუმის მიხედვით, რომელიც ჩამოყალიბდა ზემოთ ხსენებულ ლოიზიდუს საქმეში (*წინასწარი შენიშვნები და გარემოებები),* იმგვარად, რომკონვენციის 1-ლი მუხლიდან გამომდინარე კონვენციური უფლებების დაცვის პოზიტიური ვალდებულების მასშტაბი არის ფაქტობრივად განოხორციელებული კონტროლის დონის პროპორციული. ისინი მიიჩნევენ, რომ 1-ლი მუხლით განმტკიცებული იურისდიქციისადმი ამგვარი მიდგომა შექმნიდა ყურადსაღებ კრიტერიუმს, რომლითაც სასამართლო შემდგომში შეძლებდა ამგვარი სიტუაციის მსგავსი შემთხვევებიდან მომდინარე საჩივრების გადაწყვეტას.

47. აქედან გამომდინარე, მაშინ, როცა ზემოთ ხსენებულ ლოიზიდუს გადაწყვეტილებაში (*წინასწარი შენიშვნები და გარემოებები)* დადგინდა, რომ თურქული ძალები ფლობდნენ ეფექტურ კონტროლს ჩრდილოეთ კვიპროსის ტერიტორიაზე, გონივრული იყო თურქეთის ვალდებულების აღიარება მოცემულ ტერიტორიაზე კონვენციით გარანტირებული უფლებების სრულად უზრუნველყოფის თვალსაზრისით. თუმცა, როცა მოპასუხე სახელმწიფოები შეტევას ახორციელებენ მათი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ არსებული სამიზნის წინააღმდეგ, მათ მოეთხოვებათ კონვენციით გათვალისწინებული იმ უფლებების დაცვა, რომელიც კონკრეტულ სიტუაციაში მათი კონტროლის ქვეშაა და არა იმ უფლებების დაცვა, რომლის შესრულებაც შეუძლებელია (ყველა კონვენციური უფლების დაცვა).

48. განმცხადებლები მიიჩნევენ, რომ ამგვარი მიდგომა მთლიანად შეესაბამება დღემდე არსებულ კონვენციის იურისდიქციას. უფრო კონკრეტულად, დასაშვებობის გადაწყვეტილების კუთხით, ისინი ეყრდნობიან ისსას, ქსავარასა და ოჯალანის ისევე, როგორც ილაშკუს გადაწყვეტილებებს (*ილაშკუ მოლდავეთისა და რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ,* № 48787/99, 2001 წლის 4 ივლისი). ისინი, ასევე, ხსენებულ მიდგომას შესაბამისად თვლიან ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული კომისიის მსგავსი ფრაზების ინტერპრეტაციასთან. ადამიანის უფლებათა კომიტეტის ერთ-ერთი საქმის მითითებით, ისინი ამტკიცებენ, რომ ხსენებული კომიტეტი მსგავს დასკვნამდე მივიდა CCPR 1966-ის მე-2 მუხლის § 1-ისა და მისი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლიდან გამომდინარე.

49. ისინი დამატებით ამტკიცებენ, რომ „იურისდიქციის" კონცეფციის მათეული ინტერპრეტაცია შეიძლება ვიპოვოთ კონვენციის ტექსტსა და სტრუქტურაში, უფრო კონკრეტულად, მე-15 მუხლში. განმცხადებლები აცხადებენ, რომ მე-15 მუხლი აზრს დაკარგავდა, თუ მისი გამოყენება არ მოხდებოდა ექსტრატერიტორიული ომისა და საგანგებო სიტუაციების დროს. შესაბამისად, სახელმწიფოს მოეთხოვება, გადაუხვიოს მე-15 მუხლის დებულებიდან, ვინაიდან გადახვევის გარეშე, კონვენცია მოქმედებს ასეთი კონფლიქტების დროსაც.

50. იმის საპასუხოდ, რომ მთავრობები ეყრდნობიან მოსამზადებელ სამუშაოებს, განმცხადებლები აღიშნავენ, რომ იგი არ არის უპირველესი წყარო და კონკრეტული მტკიცებულება, თუ რა მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს კონვენციის 1-ლ მუხლში არსებულ იურისდიქციას. მართლაც, ისინი აღნიშნავენ, რომ მთავრობების მიერ მოხმობილი „ლეგიტიმური ხელისუფლება" და „მოწესრიგებული ურთიერთობა", როგორც იურისდიქციის მნიშვნელოვანი ელემენტები, არ არის ნახსენები მოსამზადებელ სამუშაოებში.

51. ისინი უარყოფენ მთავრობების მტკიცებას იმასთან დაკავშირებით, რომ 1-ლი მუხლის განმცხადებლების მიერ შეთავაზებული განმარტება საშიშ ელემენტებს შეიცავს. განსახილველი საქმე არ ეხება გაეროს სამშვიდობო მისიების დროს მომხდარ უბედურ შემთხვევასა თუ დაუდევრობას ან თაღლით მებრძოლს. არამედ ეხება თითოეული მოპასუხე სახლმწიფოს მიერ მიღებულ და გეგმისამებრ აღსრულებულ განზრახ ქმედებას. განმცხადებლების მტკიცებით, მართლაც საშიში იქნება თუ

დაუსჯელად დავტოვებთ ქვეყნებს ასეთი ტიპის სახელმწიფო ქმედებებით გამოწვეული კონვენციის დარღვევის შემთხვევებისთვის. განმცხადებლებმა ხაზი გაუსვეს სიცოცხლის უფლების უპირატესობას და კონვენციის, როგორც ევროპული საჯარო წესრიგის ინსტრუმენტის როლს; აღნიშნულის საფუძველზე კი განაცხადეს, რომ მოპასუხე სახელმწიფოებისათვის პასუხისმგებლობის დაუკისრებლობის შემთხვევაში, განმცხადებლები დარჩებიან სამართლებრივი დაცვის საშუალების გარეშე და მოპასუხე სახელმწიფოთა შეიარაღებულ ძალებს ექნებათ შესაძლებლობა, იმოქმედონ დაუსჯელად. ICJ არ განიხილავს ინდივიდის მიერ შეტანილ განაცხადს, ICTY განსაზღვრავს პირთა პასუხისმგებლობას მხოლოდ ომის მძიმე დანაშაულების ჩადენისათვის, ხოლო ICC ჯერჯერობით არ დაარსებულა.

52. ალტერნატივის სახით, განმცხადებლები ამტკიცებენ, რომ საჰაერო ოპერაციის მასშტაბისა და დაზარალებულთა შეფარდებითი რაოდენობის გათვალისწინებით, NATO-ს კონტროლი საჰაერო სივრცეზე თითქმის ისეთივე აბსოლუტური იყო, როგორც თურქეთის კონტროლი ჩრდილოეთ კვიპროსის ტერიტორიაზე. მაშინ, როცა ხსენებული კონტროლი შეზღუდული იყო სივრცეში (მოიცავდა მხოლოდ საჰაერო სივრცეს), 1-ლი მუხლიდან გამომდინარე პოზიტიური ვალდებულება ამდაგვარადვე შეიძლება იყოს შეზღუდული. ისინი მიიჩნევენ, რომ „ეფექტური კონტროლისა“ და „იურისდიქციის“ კონცეფციები საკმარისად მოქნილი უნდა იყოს საიმისოდ, რომ თანამედროვე ზუსტი შეიარაღების გამოყენება და მისი მახასიათებლები იქნეს გათვალისწინებული მით უმეტეს, რომ იგი იძლევა ექსტრატერიტორიული ქმედებების აბსოლუტური სიზუსტით განხორციელების შესაძლებლობას, ანუ ზემოქმედების მოხდენა შესაძლებელია სახმელეთო შეიარაღებული ძალების გარეშე. ხსენებული თანამედროვე მოწყობილობების არსებობის პირობებში, საჰაერო იერიშებსა და სახმელეთო შეიარაღებულ ძალებს შორის განსხვავებაზე დაყრდნობა საფუძველს მოკლებულია.

53. ასევე, ალტერნატივის სახით, განმცხადებლები განსახილველი საქმის გარემოებებს ადარებენ ზემოთ ხსენებულ ზოერინგის საქმეს და ამტკიცებენ, რომ, ფაქტობრივად, გასაჩივრებული ქმედება იყო წინასწარ მიღებული გადაწყვეტილების ექსტრატერიტორიული შედეგი, რომ განეხორციელებინათ იერიში RTS-ის მიმართულებით და გაეშვათ რაკეტა. ეს გადაწყვეტილება კი, მიიღეს მოპასუხე სახელმწიფოს თუ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე. შესაბამისად, ისინი მიანიშნებენ, რომ იურისდიქციის არსებობა შეიძლება დამტკიცდეს იმავე მიზეზით, რაც ზოერინგის საქმეში გამოიყენეს.

3. სასამართლოს შეფასება

54. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლებსა და მოპასუხე სახელმწიფოებს შორის რეალურ კავშირს ქმნის გასაჩივრებული ქმედება, რომელიც, შემდგომში მიღებული გადაწყვეტილების მიუხედავად, განხორციელდა ან შედეგი ჰქონდა ხსენებული სახელმწიფოების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ („ექსტრატერიტორიული ქმედება“). შესაბამისად, იგი მიიჩნევს, რომ მთავარი განსახილველი საკითხი არის, განმცხადებლები და მათი გარდაცვლილი ნათესავები

შეიძლება თუ არა მოხვედრილიყვნენ მოპასუხე სახელმწიფოების იურისდიქციის ქვეშ, ექსტრატერიტორიული ქმედების შედეგად (დროზდი და ჯანუსეკი საფრანგეთისა და ესპანეთის წინააღმდეგ, 1992 წლის 26 ივნისი, სერია A, № 240, § 91, ზემოთ ხსენებული ლოიზიდუს გადაწყვეტილება *(წინასწარი შენიშვნები და გარემოებები),* § 64 და § 56, შესაბამისად და კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ, § 80).

(a) განმარტების დროს გამოსაყენებელი წესები

55. სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ კონვენცია უნდა განიმარტოს ვენის 1969 წლის კონვენციით განმტკიცებული წესების მიხედვით(გოლდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1975 წლის 21 თებერვაზე, სერია A, № 18, § 29).

56. შესაბამისად, იგი შეეცდება დაადგინოს ფრაზის - „თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში" - ჩვეულებრივი მნიშვნელობა მისი კონტექსტისა და კონვენციის ობიექტისა და მიზნის გათვალისწინებით (ვენის 1969 წლის კონვენციის მუხლი 31 § 1, და სხვა განჩინებებს შორის, ჯონსტონი და სხვები ირლანდიის წინააღმდეგ, 1986 წლის 18 დეკემბერი, სერია A, № 112, § 51). სასამართლო, ასევე, ცნობს „ხელშეკრულების გამოყენების ნებისმიერ შემდგომ პრაქტიკას, რომელშიც მოცემულია მხარეთა შეთანხმება მისი განმარტების შესახებ" (ვენის 1969 წლის კონვენციის მუხლი 31 § 3 (b) და ზემოთ ხსენებული ლოიზიდუს გადაწყვეტილება *(წინასწარი შენიშვნები),* § 73).

57. უფრო მეტიც, ვენის 1969 წლის კონვენციის 31-ე მუხლის § 3 (c) ადგენს, რომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული „საერთაშორისო სამართლის ნებისმიერი რელევანტური წესი, რომელიც მიესადაგება მხარეთა შორის ურთიერთობას". უფრო ზოგადად, სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის ძირითადი პრინციპები ვაკუუმში უნდა იქნას განმარტებული და გამოყენებული. სასამართლომ, იურისდიქციის საკითხის განხილვისას, მხედველობაში უნდა მიიღოს, ასევე, საერთაშორისო სამართლის ნებისმიერი რელევანტური წესი და შედეგად, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა განსაზღვროს საერთაშორისო სამართლის მამოძრავებელი პრინციპების შესაბამისად; თუმცა, ამავდროულად, უნდა გაითვალისწინოს კონვენციის, როგორც ადამიანის უფლებათა მარეგულირებელი ხელშეკრულების, სპეციფიკურობა (ზემოთ ხსენებული ლოიზიდუს გადაწყვეტილება *(გარემოებები),* §§ 43 და 52). კონვენცია, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა განიმარტოს საერთაშორისო სამართლის იმ სხვა პრინციპების შესაბამისად, რომლის ნაწილსაც იგი წარმოადგენს (ალ-ადსანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ [დიდი პალატა], № 35763, § 60, 2001).

58. დამატებით ისიც აღინიშნა, რომ მოსამზადებელი სამუშაოები, ასევე, შეიძლება იქნეს გათვალისწინებული ვენის 1969 წლის კონვენციის 31-ე მუხლის გამოყენებით მიღებული შედეგის დასამტკიცებლად ან მნიშვნელობის დასაგდენად, როცა ხსენებული მუხლის მიხედვით დადგენილი შინაარსი მაინც „ორაზროვანი ან ბუნდოვანია" ან თუ შედეგი „ცალსახად აბსურდული ან არაგონივრულია" (მუხლი 32). სასამართლომ, ასევე, მიუთითა ILC-ის კომენტარებზე ხსენებულ 31-ე და 32-ე

მუხლებით განმტკიცებული განმარტების წესებს შორის ურთიერთმიმართების შესახებ (ხსენებული მუხლების ტექსტი და ILC-ის კომენტარების მოკლე შინაარსი მოცემულია ზემოთ §§ 16-18-ში).

(b) შემდეგი სიტყვების მნიშვნელობა: „თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში"

59. კონვენციის 1-ლ მუხლში მოცემული სათანადო ფრაზის „ჩვეულებრივი მნიშვნელობის" გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ საერთაშორისო საჯარო სამართლის თვალსაზრისით, იურისდიქცია უპირველესად არის ტერიტორიული. მაშინ, როცა საერთაშორისო სამართალი არ გამორიცხავს სახელმწიფოს მიერ იურისდიქციის ექსტრატერიტორიულად გამოყენებას, ასეთი იურისდიქციის შემოთავაზებული საფუძვლები (მათ შორის, მოქალაქეობა, დროშის პრინციპი, დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობები, შედეგი, დაცვის, პასიური პერონალურობისა და უნივერსალურობის პრინციპები), როგორც წესი, განსაზღვრული და შეზღუდულია სხვა შესაბამისი სახელმწიფოს სუვერენული ტერიტორიული უფლებებით (მანი, *„იურისდიქციის დოქტრინა საერთაშორისო სამართალში",* 1964, გამოცემა 1; მანი, *„იურისდიქციის დოქტრინა საერთაშორისო სამართალში, ოცი წლის შემდეგ",* 1984, გამოცემა 1; ბერნარდტი, *საერთაშორისო საჯარო სამართლის ენციკლოპედია,* 1997 წლის გამოცემა, 3, გვ. 55-59 *„სახელმწიფოთა იურისდიქცია"* და 1995 წლის გამოცემა, 2, გვ. 337-343 „ადმინისტრაციული, სასამართლო და საკანონმდებლო აქტების ექსტრატერიტორიული ეფექტი"; ოპენჰეიმის *საერთაშორისო სამართალი,* 1992 წლის მე-9 გამოცემა (ჯენინგსი და ვოთსი) გამოცემა 1, § 137; პ.მ. დუპუი, *საერთაშორისო საჯარო სამართალი,* 1998 წლის მე-4 გამოცემა, გვ. 61 და ბროუნლი, *საერთაშორისო სამართლის პრინციპები,* 1998 წლის მე-5 გამოცემა, გვ. 287, 301 და 312-314).

60. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს უფლებამოსილება, გაავრცელოს იურისდიქცია საკუთარ მოქალაქეებზე საზღვარგარეთ, ემორჩილება ამ ადგილსამყოფელის და სხვა სახელმწიფოების ტერიტორიულ კომპეტენციას (ჰიგინსი, *პრობლემები და პროცედურები,* (1994), გვ. 73 და ნგუენ ქუიქდინი, *საერთაშორისო საჯარო სამართალი,* საერთაშორისო საჯარო სამართალი, 1999 წლის მე-6 გამოცემა, (დაილირი და პელეტი), გვ. 500). ამავდროულად, სახელმწიფოს არ შეუძლია იურისდიქციის განხორციელება სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ამ უკანასკნელის თანხმობის, მოწვევის ან ცნობის გარეშე. გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პირველი სახელმწიფო არის ოკუპანტი, რა დროსაც მას შეეძლება ტერიტორიაზე იურისდიქციის განხორციელება გარკვეული თვალსაზრისით მაინც (ზემოთ მითითებული ბერნანდტი, გამოცემა 3, გვ. 59 და გამოცემა 2, გვ. 338-340; ზემოთ მითითებული ოპენჰეიმი, § 137; ზემოთ მითითებული პ.მ. დუპუი, გვ. 64-65; ზემოთ მითითებული ბროუნლი, გვ. 313; კასესე, *საერთაშორისო სამართალი,* 2001, გვ. 89; ვენეციის კომისიის მიერ 48-ე პლენარულ სხდომაზე მიღებული *„მოხსენება ეროვნული უმცირესობებისადმი პრივილეგირებული მოპყრობის შესახებ ადგილსამყოფელი სახელმწიფოების მხრიდან",* ვენეცია 2001 წლის 19-20 ოქტომბერი).

61. შესაბამისად, სასამართლო თვლის, რომ კონვენციის 1-ლი მუხლი უნდა მივიჩნიოთ, როგორც იურისდიქციის ტერიტორიული ცნების ჩვეულებრივი და არსებითი მნიშვნელობის ამსახველი, ხოლო იურისდიქციის სხვა საფუძვლები, უნდა მივიჩნიოთ, როგორც გამონაკლისი, რომლისთვისაც თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში მოითხოვება სპეციფიკური გამამართლებელი საბუთები (იხილეთ,*mutatis mutandis* და ზოგადად, ექსტრატერიტორიული სისხლის სამართლებრივი იურისდიქციის ექსპერტთა კომიტეტი, დანაშაულებთან დაკავშირებული პრობლემების ევროპული კომიტეტი, ევროპის საბჭო, „*სისხლის სამართლის ექსტრატერიტორიული იურისდიქცია*“, 1990 წელს გამოქვეყნებული მოხსენება, გვ. 8-30).

62. სასამართლო ადგენს, რომ რატიფიკაციის შემდეგ კონვენციის გამოყენების პრაქტიკა ცხადყოფს ხელშემკვრელი სახელმწიფოებისათვის ექსტრატერიტორიული პასუხისმგებლობის განსაზღვრის ნაკლებობას განსახილველი საქმის მსგავს გარემოებებში. მიუხედავად იმისა, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოების მონაწილეობით არაერთი სამხედრო მისია განხორციელდა ექსტრატერიტორიულად, კონვენციის რატიფიკაციის შემდეგ (*inter alia,* Gulf სიტუაციაში, ბოსნია-ჰერცოგოვინასა და იუგოსლავიის ფედერაციულ რესპუბლიკაში), არც ერთ სახელმწიფოს არ მიუთითებია, რომ მისი ექსტრატერიტორიული ქმედება მოიცავდა იურისდიქციის განხორციელებას კონვენციის 1-ლი მუხლის გაგებით, კონვენციის მე-15 მუხლის შესაბამისად გაკეთებული გადახვევის გზით. ხსენებული გადახვევების შესახებ განცხადება გაკეთებული აქვს თურქეთსა და გაერთიანებულ სამეფოს[1] მათ შიდა კონფლიქტებთან დაკავშირებით (სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში, შესაბამისად). სასამართლო ვერ ხედავს საფუძველს, რომლის მიხედვითაც მიიღებდა განმცხადებლების მტკიცებას, რომ მე-15 მუხლი ფარავს, ზოგადად, ყველა სახის „ომისა“ და „საგანგებო სიტუაციას“ განურჩევლად იმისა, ხსენებული სიტუაცია ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიას მოიცავს თუ ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ხდება. მე-15 მუხლი მართლაც უნდა იქნეს გაგებული, როგორც კოვენციის 1-ლი მუხლით გათვალისწინებული „იურისდიქციის“ შემზღუდველი.

63. საბოლოოდ, სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსამზადებელ სამუშაოებში არსებობს იურისდიქციის უპირველესად ტერიტორიული ცნების ნათელი დადასტურება. მითითებული ცხადყოფს, რომ ექსპერტთა სამთავრობთაშორისმა კომიტეტმა სიტყვები - „თავიანთ ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა პირი“ შეცვალა ფრაზით - „მათი იურისდიქციის ფარგლებში“ იმ მიზნით, რომ გაევრცელებინა კონვენცია იმ პირებზეც, რომლებიც სამართლებრივი გაგებით არ ცხოვრობენ, თუმცა,

---

[1] გაერთიანებულმა სამეფომ გააუქმა გადახვევა ისევე, როგორც 2001 წლის 26 თებერვალს, გარდა სამეფო კოლონიებთან ურთიეთობებში არსებული გადახვევებისა. თურქეთმა შეამცირა გადახვევის მასშტაბი 1992 წლის 5 მაისით დათარიღებული უწყების ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის გადაცემის გზით.

მიუხედავად ამისა, არიან ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე (ზემოთ, § 19).

64. შეხედულება იმის შესახებ, რომ კონვენცია, როგორც ცოცხალი დოკუმენტი, უნდა განიმარტოს დღევანდელი მდგომარეობით, მართლაც დამკვიდრებულია სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში. სასამართლომ ხსენებული მიდგომა გამოიყენა კონვენციის არა მხოლოდ მატერიალური დებულებების მიმართ (მაგალითად, ზემოთ ხსენებული ზოერინგის გადაწყვეტილება, §102; დადჯენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1981 წლის 22 ოქტომბერი, სერია A, № 45; X, Y და Z გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1997 წლის 2 აპრილი, მოხსენებები 1997-II; V გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ [დიდი პალატა], №24888/94, § 72, ECHR 1999-IX; მეთიუსი გაერთიანებული სამეფოს [დიდი პალატა],№24833/94, § 39,ECHR 1999-I), არამედ უფრო მეტად 25-ე და 46-ე მუხლების ძველი რედაქციების განმარტებისას, რომელიც ეხება ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ კონვენციის ორგანოების უფლებამოსილების აღიარებას (ზემოთ ხსენებული ლოიზიდუს საქმე *(წინასწარი შენიშვნები),* §71). ამ უკანასკნელ გადაწყვეტილებაში სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის 25-ე და 46-ე მუხლების ძველი რედაქციები არ უნდა განმარტებულიყო მხოლოდ მისი ავტორების 40 წელზე მეტი ხნის წინათ გაცხადებული განზრახვების მიხედვით იმდენად, რამდენადაც იმ შემთხვევაშიც, თუკი დადგინდებოდა, რომ 25-ე და 46-ე მუხლებით გათვალისწინებული შეზღუდვა მისი მიღების დროს დასაშვებად მიაჩნდათ ხელშემკვრელ სახელმწიფოთა მაშინდელ უმცირესობას, ასეთი მტკიცება „არ შეიძლება ყოფილიყო დამაჯერებელი“.

65. თუმცა მოცემულ საქმეში 1-ლი მუხლის ფარგლები არის ხელშემკვრელ სახელმწიფოთა პოზიტიური ვალდებულებების ფარგლებისა და როგორც ასეთი, ადამიანის უფლებათა დაცვის მთელი კონვენციური სისტემის ფარგლებისა და წვდომის განმსაზღვრელი; განსხვავებით კონვენციური ორგანოების კომპეტენციის საკითხისაგან, განიხილონ საქმე, ლოიზიდუს საქმის მიხედვით *(წინასწარი შენიშვნები).* ნებისმიერ შემთხვევაში, ამონაწერები უკვე დეტალურად განხილული მოსამზადებელი სამუშაოებიდან, ცალსახად მიუთითებენ კონვენციის 1-ლი მუხლისათვის განზრახულ მნიშვნელობას, რომლის იგნორირება შეუძლებელია. სასამართლო ხაზს უსვამს, რომ იგი 1-ლ მუხლს არ განმარტავს „მხოლოდ“ მოსამზადებელი სამუშაოების მიხედვით, ასევე, არ მიიჩნევს ხსენებულ სამუშაოებს „გადამწყვეტად“; არამედ ხსენებული მოსამზადებელი მასალები არის კონვენციის 1-ლი მუხლის ჩვეულებრივი მნიშვნელობის დამამტკიცებელი საბუთი, როგორც ეს სასამართლომ განსაზღვრა (ვენის 1969 წლის კონვენციის 32-ე მუხლი).

66. აქედან გამომდინარე და როგორც სასამართლომ დაადგინა ზოერინგის საქმეში:

> „1-ლი მუხლი ადგენს შეზღუდვას, განსაკუთრებით, ტერიტორიულს კონვენციის გავრცელების ფარგლებში. უფრო კონკრეტულად, ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ქმედება შეზღუდულია გაწერილი უფლებების და თავისუფლებების „დაცვით“ (ფრანგულ ტექსტში - '*reconnaître*') თავისი „იურისდიქციის“ ქვეშ მყოფ პირთათვის. უფრო მეტიც, კონვენცია არ არეგულირებს არაწევრი სახელმწიფოების ქმედებებს, ასევე, იგი

მიზნად არ ისახავს, მოსთხოვოს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს კონვენციური სტანდარტების სხვა სახელმწიფოებზე დაწესება.“

(c) **ექტრატერიტორიული ქმედებები, რომელიც ქმნის იურისდიქციის დადგენის საფუძველს**

67. იურისდიქციის უპირველესად ტერიტორიული ცნების შესაბამისად, სასამართლომ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში დაადგინა, რომ ქმედება, რომელიც ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა განახორციელეს ან რომლის შედეგი დადგა მათი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, შეიძლება ჩაითვალოს მათ მიერ იურისდიქციის განხორციელებად კონვენციის 1-ლი მუხლის გაგებით.

68. იმის მაგალითად, რომ იურისდიქცია „არ არის შეზღუდული“ მოპასუხე სახელმწიფოს „ეროვნული ტერიტორიით“ (ლოიზიდუს საქმე (*წინასწარი შენიშვნები),* § 62), გაკეთდა მითითება სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში ისეთ სიტუაციებზე, სადაც ხელშემკვრელი სახელმწიფობის მიერ პირის ექსტრადიციამ ან გაძევებამ შეიძლება გავლენა იქონიოს მე-2 და/ან მე-3 მუხლით დაცულ უფლებებზე (ან გამონაკლის შემთხვევებში მე-5 და/ან მე-6 მუხლით დაცულ უფლებებზე) და შესაბამისად, კონვენციის მიხედვით დადგეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა (ზემოთ ხსენებული ზოერინგის საქმე § 91; კრუზ ვარასი და სხვები შვედეთის წინააღმდეგ, 1991 წლის 20 მარტი, სერია A, №201, §§ 69 და 70; ვილვარაჯაჰი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1991 წლის 30 ოქტომბერი, სერია A, №215, § 103).

თუმცა, სასამართლომ მიუთითა, რომ ამგვარ საქმეებში დადგა პასუხისმგებლობა, რადგან მოპასუხე სახელმწიფოს ქმედება ეხებოდა პირს, როცა ეს უკანასკნელი იმყოფებოდა მის ტერიტორიაზე, აშკარად მისი იურისდიქციის ქვეშ. ასეთი საქმეები არ ეხება სახელმწიფოს უფლებამოსილების ან იურისდიქციის საზღვარგარეთ რეალურ განხორციელებას (იხილეთ, ასევე, ზემოთ ხსენებული ალ-ადსანის გადაწყვეტილება, § 39).

69. ამასთანავე, ლოიზიდუს საქმის (*წინასწარი შენიშვნები)* 62-ე პარაგრაფში მითითებული დამატებითი მაგალითი შეეხებოდა დროზდისა და იანუსეკის საქმეს, სადაც სასამართლომ, კომისიის დასაშვებობის მთელი რიგი გადაწყვეტილებების მხედველობაში მიღებით, აღიარა, რომ, პრინციპში, სახეზე იყო ხელშემკვრელი სახელმწიფოების (საფრანგეთი და ესპანეთი) პასუხისმგებლობა მათი ხელისუფლებების (მოსამართლეების) ქმედებების გამო, რომელიც განხორციელდა ან ჰქონდა შედეგი სხვათა ტერიტორიაზე (ზემოთ ხსენებული დროზდისა და ჯანუსეკის გადაწყვეტილება, § 91). თუმცა ხსენებულ საქმეში, სადავო ქმედება არ შეიძლებოდა შერაცხოდა მოპასუხე სახელმწიფოებს, ვინაიდან მითითებული მოსამართლეები არ მოქმედებდნენ თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში, როგორც ფრანგი ან ესპანელი მოსამართლეები და ვინაიდან ანდორას სასამართლოები ფუნქციონირებდნენ მოპასუხე სახელმწიფოებისაგან დამოუკიდებლად.

70. უფრო მეტიც, ხსენებული ლოიზიდუს გადაწყვეტილებაში (*წინასწარი შენიშვნები),* სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის ობიექტისა და მიზნის მხედველობაში მიღებით, შესაძლებელია დამდგარიყო ხელშემკვრელი მხარის

პასუხისმგებლობა, როდესაც სამხედრო მოქმედების (კანონიერი თუ უკანონო) შედეგად იგი ახორციელებდა ეფექტურ კონტროლს საკუთარი ეროვნული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ. ასეთ ტერიტორიაზე კონვენციური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის ვალდებულება გამომდინარეობს თავად კონტროლის ფაქტიდან, მიუხედავად იმისა კონტროლი განხორციელდა პირდაპირ, მოპასუხე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მეშვეობით თუ დაქვემდებარებული ადგილობრივი ადმიანისტრაციის მიერ. სასამართლომ დაასკვნა, რომ განმცხადებლის მიერ გასაჩივრებული ქმედებები ექცეოდა თურქეთის იურისდიქციის ქვეშ კონვენციის 1-ლი მუხლის მნიშვნელობით.

საქმის არსიდან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ არ იყო აუცილებელი იმის დადგენა, თურქეთი რეალურად ახორციელებდა თუ არა „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქეთის რესპუბლიკის" ხელისუფლების ქმედებებსა და პოლიტიკაზე დეტალურ კონტროლს. ჩრდილოეთ კვირპოსის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით სამხედრო პირების მიერ თავიანთი მოვალეობის შესრულება აშკარას ხდიდა, რომ თურქეთის არმია ახორციელებდა „ეფექტურ ზოგად კონტროლს კუნძულის ხსენებულ ტერიტორიაზე". სათანადო ტესტისა და საქმის გარემოებების გათვალისწინებით, ასეთი კონტროლი მოიცავდა თურქეთის პასუხისმგებლობას „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქეთის რესპუბლიკის" პოლიტიკისა და ქმედებების გამო. სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ პირები, რომელზეც ზეგავლენა მოახდინა ხსენებულმა პოლიტიკამ და ქმედებებმა, მოექცნენ თურქეთის „იურისდიქციის" ქვეშ კონვენციის 1-ლი მუხლის გაგებით. ამდენად, ჩრდილოეთ კვიპროსზეც გავრცელდა თურქეთის ვალდებულება, უზრუნველეყო კონვენციით გარანტირებული უფლებები და თავისუფლებები.

შემდგომში მიღებულ გადაწყვეტილებაში -კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ - (ზემოთ მითითებული), სასამართლომ დასძინა, რომ, ვინაიდან თურქეთი ფლობდა „ეფექტურ კონტროლს", მისი პასუხისმგებლობა არ შეიძლებოდა შემოფარგლულიყო მხოლოდ მისი აგენტების ქმედებებით, არამედ იგი ვრცელდებოდა ადგილობრივი ხელისუფლების ქმედებებზეც, რომელიც არსებობდა სწორედ თურქეთის მხარდაჭერით. შესაბამისად, 1-ლი მუხლის მიხედვით, მიჩნეული იქნა, რომ თურქეთის „იურისდიქცია" ვრცელდება ჩრდილოეთ კვიპროსში კონვენციის ძირითადი უფლებების მთელი სპექტრის უზრუნველყოფაზე.

71. საბოლოო ჯამში, სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ცხადყოფს, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოს ექსტრატერიტორიული იურისდიქციის არსებობის დადგენა ხდება გამონაკლის შემთხვევებში: სასამართლომ დაადგინა ექსტრატერიტორიული იურისდიქცია, როდესაც მოპასუხე სახელმწიფო სამხედრო ოკუპაციის, სათანადო მთავრობის თანხმობის, მოწვევის ან აღიარების შედეგად, შესაბამის ტერიტორიასა და იქ მაცხოვრებლებზე ეფექტური კონტროლის საშუალებით, სრულად ან ნაწილობრივ ახორციელებს საჯარო უფლებამოსილებებს, რომელიც, ჩვეულებრივ, ხსენებულმა მთავრობამ უნდა განახორციელოს.

72. მითითებული მიდგომის შესაბამისად, სასამართლომ, უკანასკნელ პერიოდში, დაადგინა, რომ სახელმწიფოს მონაწილეობა სხვა ქვეყანაში მის წინააღმდეგ

დაწყებულ სამართალწარმოების პროცესში, აღარ უტოლდება ექსტრატერიტორიული იურისდიქციის განხორციელებას (მაკელინი ირლანდიისა და გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, №31253/96, გვ. 7,9; 2000 წლის თებერვალი, გამოუქვეყნებელი). სასამართლომ განაცხადა:

> „იმდენად, რამდენადაც განმცხადებელი მე-6 მუხლის მიხედვით ... ასაჩივრებს ირლანდიურ სამართალწარმოებაში გაერთიანებული სამეფოს მთავრობის პოზიციას, სასამართლო არ მიიჩნევს საჭიროდ, აბსტრაქტულად განიხილოს საკითხი სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლოში მთავრობის, როგორც დავის მხარის, ქმედებები აყალიბებს თუ არა მის პასუხისმგებლობას მე-6 მუხლის შესაბამისად ... სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის კონკრეტულ გარემოებებში, ირლანდიურ სასამართლოში გაერთიანებული სამეფოს მიერ სუვერენული იმუნიტეტის მოხმობის ფაქტი მაშინ, როცა განმცხადებელმა გადაწყვიტა სარჩელის შეტანა მის წინააღმდეგ, არ არის საკმარისი იმის სამტკიცებლად, რომ ხსენებული განმცხადებელი მოექცა გაერთიანებული სამეფოს იურისდიქციის ქვეშ კონვენციის 1-ლი მუხლის გაგებით.“

73. დამატებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს მიერ ექსტრატერიტორიული იურისდიქციის განხორციელების სხვა აღიარებული შემთხვევები მოიცავს მისი დიპლომატიური ან საკონსულო აგენტების ქმედებებს საზღვარგარეთ ან მის ქვეყანაში რეგიტრირებულ ან მისი დროშით მფრინავ/მცურავ საჰაერო ან საზღვაო ხომალდზე განხორციელებულ ქმედებებს. ამ განსაკუთრებულ სიტუაციაში საერთაშორისო ჩვეულებითმა სამართალმა და სახელშეკრულებო დებულებებმა აღიარა შესაბამისი სახელმწიფოს მიერ იურისდიქციის ექსტრატერიტორიული განახორციელება.

(d) ამდენად, შესაძლებელია თუ არა მოცემულ საქმეში განმცხადებლები მოხვედრილიყვნენ მოპასუხე სახელმწიფოების „იურისდიქციის“ ქვეშ?

74. განმცხადებლები ამტკიცებენ, რომ მოპასუხე სახელმწიფოების მიერ RTS-ის დაბომბვა წარმოადგენს ექსტრატერიტორიული ქმედების კიდევ ერთ მაგალითს, რომელიც შეიძლება კონვენციის 1-ლი მუხლში არსებულმა „იურისდიქციის“ ცნებამ მოიცვას. შესაბამისად, მათი წინადადებაა კონვენციის 1-ლი მუხლში ტერმინი „იურისდიქციის“ ჩვეულებრივი მნიშვნელობის კიდევ უფრო დაკონკრეტება. სასამართლომ საკმარისად უნდა ჩათვალოს, რომ თანაბრად გამონაკლისი გარემოებები არსებობს მოცემულ საქმეში, რამაც შეიძლება მოგვცეს ხელშემკვრელი სახელმწიფოს იურისდიქციის ექსტრატერიტორიული გამოყენება.

75. პირველ რიგში, განმცხადებლები მოითხოვენ ჩრდილოეთ კვიპროსის საქმეში დამკვიდრებული „ეფექტური კონტროლის“ კრიტერიუმის სპეციალურ გამოყენებას. ისინი ამტკიცებენ, რომ 1-ლი მუხლის მიხედვით, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება განხორციელებული კონტროლის პროპორციულად ვრცელდება კონვენციური უფლებების უზრუნველყოფაზე ნებისმიერ ექსტრატერიტორიულ სიტუაციაში. მთავრობები ეწინააღმდეგებიან და ამტკიცებენ, რომ ამგვარი მიდგომა მიგვიყვანს იურისდიქციის „მიზეზშედეგობრივ“ ცნებამდე, რომელიც არ არის განმტკიცებული და არც შესაბამისობაშია კონვენციის 1-ლ მუხლთან. სასამართლოს მოსაზრებით, განმცხადებლების შეხედულება იმ მტკიცების ტოლფასია, რომლის მიხედვითაც ხელშემკვრელი სახელმწიფოს ქმედებით დაზარალებული ნებისმიერი

პირი, სადაც არ უნდა განხორციელებულიყო ასეთი ქმედება ან სადაც არ უნდა დამდგარიყო მისი შედეგები, ექცევა მოცემული სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ კონვენციის 1-ლი მუხლის მიზნებისთვის.

სასამართლო ეთანხმება მთავრობების მტკიცებას იმის შესახებ, რომ „იურისდიქციისადმი“ ამგვარი მიდგომა არ გამომდინარეობს 1-ლი მუხლიდან. სავარუდოდ, განმცხადებლები აღიარებენ, რომ იურისდიქცია და კონვენციით გათვალისწინებული სახელმწიფოს შემდგომი პასუხისმგებლობა შეზღუდული იქნება ჩადენილი კონკრეტული ქმედების გარემოებებითა და მისი შედეგებით. თუმცა, სასამართლოს მოსაზრებით, 1-ლი მუხლის ფორმულირება არ უჭერს მხარს განმცხადებლების მტკიცებას, რომ 1-ლი მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს „მოცემული კონვენციის I სექციით განმტკიცებული უფლებები და თავისუფლებები“, შეიძლება დაიყოს და გაერთიანდეს განსახილველი ექსტრატერიტორიული ქმედების კონკრეტული გარემოებების შესაბამისად. სასამართლო მიიჩნევს, რომ ხსენებულ კონტექსტში მის შეხედულებას ეთანხმება კონვენციის მე-19 მუხლის ფორმულირება. მართლაც, განმცხადებლების მიდგომა არ ხსნის 1-ლ მუხლში მოცემული შემდეგი სიტყვების - „თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში“ - გამოყენებას და მოკლებულია რაიმე მიზანს. კონვენციის პროექტის შემდგენლებს რომ ჰქონოდათ ისეთი ფართო იურისდიქციის განმტკიცების განზრახვა, როგორიც განმცხადებლებმა წარმოადგინეს, ისინი მიიღებდნენ ჟენევის 1949 წლის ოთხი კონვენციის (იხილე ზემოთ § 25) 1-ლი მუხლის იდენტურ ან მსგავს ტექსტს.

უფრო მეტიც, განმცხადებლების მიერ შემოთავაზებული იურისდიქციის ცნებით, იმის განსაზღვრა, ხვდება თუ არა ინდივიდი ხელშემკვრელი სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ, უთანაბრდება იმ საკითხის დადგენას, არის თუ არა ხსენებული პირი კონვენციით გარანტირებული უფლებების დარღვევის მსხვერპლი. აღნიშნული კი, არის დასაშვებობის ერთმანეთისგან დამოუკიდებელი, განსხვავებული პირობები, რომელთაგან თითოეული უნდა დაკმაყოფილდეს ზემოთ ხსენებული წესით, ვიდრე ინდივიდი დაეყრდნობა კონვენციის დებულებებს ხელშემკვრელი სახელმწიფოს წინააღმდეგ.

76. მეორე რიგში, განმცხადებლების ალტერნატიული არგუმენტი არის ის, რომ საჰაერო სივრცის კონტროლის ლიმიტირებული ფარგლები მხოლოდ მოპასუხე სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების ფარგლებს ზღუდავს, რომ დაიცვას განმცხადებლების უფლებები და არ გამორიცხავს ამ ვალდებულებას. სასამართლო მიიჩნევს, რომ ხსენებული მტკიცება არსებითად იგივეა, რაც განმცხადებლების მთავარი არგუმენტი და იმავე მიზეზებით უარყოფს მას.

77. მესამე რიგში, განმცხადებლები კიდევ ერთ ალტერნატიულ არგუმენტს იხმობენ მოპასუხე სახელმწიფოების იურისდიქციის დასამტკიცებლად, რომელიც ეფუძნება ზოერინგის საქმესთან პარალელის გავლებას (მითითებულია ზემოთ). სასამართლო აღნიშნულ არგუმენტს არ მიიჩნევს დამაჯერებლად ზოერინგისა და მოცემულ საქმეს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავების გამო, რომელიც, ასევე, აღნიშნულია 68-ე პარაგრაფში.

78. მეოთხე რიგში, სასამართლო არ თვლის საჭიროდ, დააფიქსიროს საკუთარი მოსაზრება საერთაშორისო დოკუმენტებში იურისდიქციის სავარაუდოდ ერთი და იგივე დებულებებისთვის, რომელზეც განმცხადებლები მიუთითებენ, სპეციფიკური მნიშვნელობის მინიჭების შესახებ სხვადასხვა კონტექსტში, ვინაიდან მისთვის დამაჯერებელი არ იყო ამ კუთხით განმცხადებლების მიერ წარდგენილი მოსაზრებები (იხილეთ § 48). იგი აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა და მოვალეობათა 1948 წლის ამერიკული დეკლარაციის (§ 23) მე-2 მუხლი, რომელზეც გაკეთდა მითითება ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული კომისიის *ქოარდის* მოხსენებაში (*Coard* Report), არ შეიცავს იურისდიქციის რაიმე სახის აშკარა შეზღუდვას. დამატებით, CCPR-ის მე-2 მუხლის § 1-ლთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ 1950 წელს პროექტის შემქმნელებმა ცალსახად და სპეციალურად შეზღუდეს მისი ტერიტორიული ფარგლები. ამდენად, იმის მტკიცება რთულია, რომ ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ ექსტრატერიტორიული იურისდიქციის ცალკეული შემთხვევების საგამონაკლისო ცნობა (განმცხადებელი აღნიშნულის მხოლოდ ერთ მაგალითზე მიუთითებს) როგორმე ცვლის CCPR 1966-ის ხსენებულ მუხლში აშკარად დაფიქსირებულ ტერიტორიულ იურისდიქციას ან ხსნის მისი 1966 წლის დამატებითი ოქმის 1-ლ მუხლში მოცემული „იურისდიქციის" ზუსტ მნიშვნელობას. მაშინ, როცა ადამიანის უფლებათა 1978 წლის ამერიკული კონვენციის 1-ლ მუხლი (ზემოთ § 24) შეიცავს იურისდიქციის იმავე პირობებს, რასაც ევროპული კონვენციის 1-ლი მუხლი, განმცხადებლებს არ მიუთითებიათ პრეცედენტული სამართალი ადამიანის უფლებათა 1978 წლის ამერიკული კონვენციის 1-ლ მუხლთან დაკავშირებით.

79. მეხუთე რიგში და ზოგადად, განმცხადებლები ამტკიცებენ, რომ თუკი არ იქნება გაზიარებული მოპასუხე სახელმწიფოების იურისდიქციის ქვეშ მათი მოქცევის ფაქტი, დაკნინდება კონვენციის საჯარო წესრიგის მისია (*ordre public)* და ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციურ სისტემაში გაჩნდება სამწუხარო ვაკუუმი.

80. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლოს ვალდებულებაა, გაითვალისწინოს კონვენციის განსაკუთრებული ბუნება, როგორც ევროპული საჯარო წესრიგის კონსტიტუციური დოკუმენტისა, რომელიც იცავს ინდივიდის ადამიანურ ყოფას. ასევე, როგორც კონვენციის მე-19 მუხლშია მითითებული, მისი როლია ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ თავიანთი ვალდებულებების შესრულებაზე ზედამხედველობა (ლოიზიდუს საქმე *(წინასწარი მოსაზრებები)* § 93). შესაბამისად, რთულია იმის მტკიცება, რომ მოპასუხე სახელმწიფოების ექსტრატერიტორიული იურისდიქციის გაუზიარებლობა დაარღვევს კონვენციის საჯარო წესრიგის (*ordre public)* მიზანს, რომელიც, თავის მხრივ, ხაზს უსვამს კონვენციური სისტემის ან კონვენციის მე-19 მუხლის, არსებითად რეგიონულ დანიშნულებას. მე-19 მუხლი ნათელს არ ჰფენს ხსენებული სისტემის ტერიტორიულ საზღვრებს.

მართალია, რომ ზემოთ ხსენებულ განჩინებაში - კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ (§ 78) - სასამართლომ გააცნობიერა ჩრდილოეთ კვიპროსში „ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემაში სამწუხარო ვაკუუმის" თავიდან აცილების საჭიროება.

თუმცა, როგორც მთავრობებმა მიუთითეს, აღნიშნული ეხებოდა განსახილველი საქმისაგან აბსოლუტურად განსხვავებულ სიტუაციას: ჩრდილოეთ კვიპროსის მაცხოვრებლები დარჩებოდნენ იმ კონვენციური სისტემისა და დაცვის გარეშე, რომლითაც ისინი მანამდე სარგებლობდნენ, თურქეთის მიერ ტერიტორიის „ეფექტური კონტროლისა" და კვიპროსის მთავრობის, როგორც ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის გამო.

ამდენად, კონვენცია, როგორც მრავალხმრივი ხელშეკრულება, კონვენციის 56-ე მუხლის[2] მიხედვით, მოქმედებს ძირითადად რეგიონულ კონტექსტში და განსაკუთრებით, ხელშემკვრელი სახელმწიფოების სამართლებრივ სივრცეში (*espacejuridique*). იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა კი, აშკარად, ვერ ხვდება ხსენებულ სამართლებრივ სივრცეში. კონვენცია არ შექმნილა მთელი მსოფლიოს მასშტაბით გამოსაყენებლად, მათ შორის, ხელშემკვრელი სახელმწიფოების ქმედებების მიმართაც. აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ვაკუუმის თავიდან აცილების სურვილი გახდა სასამართლოს მიერ იურისდიქციის არსებობის აღიარების საფუძველი მხოლოდ იმ ტერიტორიებზე, რომელიც ჩვეულებრივ გარემოებებში მოექცეოდა კონვენციის დაცვის ქვეშ.

81. საბოლოო ჯამში, განმცხადებლები დაეყრდნენ ზემოთ ხსენებულ *ისსასა და ოჯალანის* საქმეებში სასამართლოს მიერ მიღებულ დასაშვებობის გადაწყვეტილებებს. ის, რომ სასამართლომ მითითებული ორივე საქმე დასაშვებად სცნო და რომ შეეხებოდა თურქეთის აგენტების მიერ თურქეთის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ განხორციელებულ სავარაუდო ქმედებებს, სიმართლეს შეესაბამება. თუმცა, არც ერთ ხსენებულ საქმეში იურისდიქციის საკითხი არ ყოფილა წამოწეული მოპასუხე მთავრობის მიერ, ამავე დროს, დასაშვებობის გადაწყვეტილებაში არ განხილულა ეს საკითხი, ხოლო საქმეების გარემოებები ჯერ კიდევ გადაწყვეტის პროცესშია. აღნიშნულის მსგავსად, არც განმცხადებლების მიერ მითითებულ *ქსავარას* საქმეში (იხილეთ ზემოთ) ყოფილა დავის საგანი იურისდიქციის საკითხი, რომელიც, საბოლოოდ, დაუშვებლად იქნა ცნობილი. ყოველ შემთხვევაში, განმცხადებლები სადავოდ არ ხდიდნენ მთავრობების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებას მანამდე დადებული წერილობითი ხელშეკრულებით ალბანეთსა და იტალიას შორის იურისდიქციის გაყოფის შესახებ. განმცხადებლების მიერ, ასევე, მოხმობილი *ილაშკუს* საქმე შეეხება მოლდავეთის ტერიტორიის გარკვეული ნაწილის რუსული ძალების მიერ სავარაუდო კონტროლს. ხსენებული საკითხი გადაწყდება საქმის გარემოებების მიხედვით. აქედან გამომდინარე, ხსენებული საქმეები არ უჭერენ მხარს ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ შემოთავაზებულ იურისდიქციის განმარტებას კონვენციის 1-ლი მუხლის გაგებით.

4. *სასამართლოს დასკვნა*

[2] 56-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ხელშმკვრელ სახელმწიფოს აძლევს უფლებას, გამოაცხადოს, რომ კონვენცია ვრცელდება ტერიტორიის მთელს ან გარკვეულ ნაწილზე, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზეც ხსენებული სახელმწიფო იქნება პასუხისმგებელი.

82. სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ არსებობდა რაიმე სახის იურისდიქციული კავშირი გასაჩივრებული ქმედების მსხვერპლებსა და მოპასუხე სახელმწიფოებს შორის. აქედან გამომდინარე, იგი არ ფიქრობს, რომ განმცხადებლები და მათი გარდაცვლილი ნათესავები შეიძლება მოხვედრილიყვნენ მოპასუხე სახელმწიფოების იურისდიქციის ქვეშ განსახილველი ექსტრატერიტორიული ქმედებით.

B. დასაშვებობის სხვა საკითხები

83. მითითებული დასკვნიდან გამომდინარე, სასამართლო საჭიროდ არ მიიჩნევს განაცხადის დასაშვებობასთან დაკავშირებით მხარეების მიერ წარმოდგენილი პოზიციების განხილვას.

ხსენებული საკითხები შეეხებოდა მოპასუხე სახელმწიფოების სავარაუდო პასუხისმგებლობას იმ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ქმედებების გამო, რომლის წევრნიც ისინი არიან, მიუხედავად იმისა, განმცხადებლებმა ამოწურეს თუ არა კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის ეფექტური და ხელმისაწვდომი საშუალებები. ასევე, მიუხედავად იმისა, სასამართლოს შეეძლო თუ არა საქმის განხილვა ზემოთ მითითებულ *Monetary Gold-ის* გადაწყვეტილებაში ICJ-ის მიერ დამკვიდრებული პრინციპების გამო.

C. რეზიუმე და დასკვნა

84. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ასკვნის, რომ მოპასუხე სახელმწიფოების გასაჩივრებული ქმედებები არ წარმოშობს მათ კონვენციურ პასუხისმგებლობას და შესაბამისად, არ არის საჭირო მხარეების მიერ წარმოდგენილი დასაშვებობის სხვა საკითხების განხილვა.

85. შესაბამისად, განაცხადი შეუსაბამოა კონვენციის დებულებებთან და, კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების მიხედვით, დაუშვებელია.

ხსენებული მიზეზებიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად ადგენს, რომ

განაცხადი დაუშვებელია.

პოლ მეჰონი	ლუციუს ვილდჰაბერი
რეგისტრატორი	პრეზიდენტი